ბრძანება:**ბ43.43212672**

თარიღი:**24/09/2021**

,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სექტემბრის თვის სამუშაო რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 2 სექტემბრის №ბ43.43212453 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შევიდეს ცვლილება **,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სექტემბრის თვის სამუშაო რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 2 სექტემბრის №ბ43.43212453 ბრძანებაში** კერძოდ, ბრძანების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეონა ახალაიამ უზრუნველყოს საკრებულოს 2021 წლის მე-12 სხდომის ჩატარების ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა.

3.„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის №3).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკაკი დარჯანია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი